

ლუბლიანას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების კონცეფცია

გურამ არჩვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე არქიტექტორის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია კუპატაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

თანამედროვე ქალაქის გარემოს შენარჩუნების, მისი ადამიანის ზემოქმედებისაგან დაცვისა და გაჯანსაღების საკითხის მეცნიერულად შესწავლა-დამუშავება და რეალიზაციის პრობლემების უზრუნველყოფა, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, თანამედროვე ქალაქთმშენებლობის აქტუალური და გადაუდებელი პრობლემაა.

ვინაიდან არქიტექტურა და ქალაქთმშენებლობა უშუალოდაა დაკავშირებული ბუნებრივ გარემოსთან და ფაქტობრივად მისი ხელოვნური გაგრძელებაა, აქედან გამომდინარეობს თემის აქტუალობა და ყველა იმ პრობლემის შესწავლის აუცილებლობა, რომელიც უკავშირდება ქალაქგეგმარების, მოცულობითი არქიტექტურისა და ბუნებრივი გარემოს შერწყმის რეგულაციებს.

კვლევის მიზანია, ჩვენი ქალაქის სტრუქტურის, მისი წარსულის, მსოფლიოს მაგალითებითა და ქართული გამოცდილებით, დიდმის მოცემული ტერიტორიის გარდაქმნა საზოგადოებრივ ობიექტად ისე, რომ არ მოხდეს გარემოს დაზიანება, ქალაქგეგმარებითი სტრუქტურის დარღვევა. რაც მთავარია უნდა შეიქმნას ქალაქის მოსახლეობისათვის სასარგებლო და შემეცნებითი ხასიათის დაწესებულება.

ლუბლიანას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს დიდმის მასივის გაგრძელებას, რომელიც არის თბილისში ყველაზე გამწვანებული უბანი. დედაქალაქში შემომავალი მთავარი გზაც აქ გადის. მნიშვნელოვნად მიმაჩნია აღნიშნული ტერიტორიის განვითარება-გამწვანება და კულტურული ზონის შექმნა. იმისათვის, რომ მიზანი გამართლებული ყოფილიყო, სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებები მიმეღო, კვლევა გარკვეული პუნქტების მიხედვით ჩავატარე.

საწყის ეტაპზე გავეცანი თბილისის არქიტექტურას, ძველი და ახალი უბნების გეგმარებას, დადებით და უარყოფით მხარეებს, რის შემდეგაც პატარა გამოკითხვა ჩავატარე იმაზე, თუ რა სურს დიდმის მასივის მოსახლეობას. საინტერესო აღმოჩნდა ადგილობრივ მცხოვრებთა აზრი და იდეები. მიუხედავად მრავალფეროვნებისა, საერთო

მაინც ის არის, რომ აქცენტი რეკრეაციაზე, საერთო-საზოგადოებრივ სივრცეებსა და პარკებზე კეთდება და ეს ყველაფერი შემეცნებითი ხასიათის ობიექტ(ებ)ით უნდა შეიკრას. ამის შემდგომ გავეცანი თბილისში არსებულ მუზეუმებს, მათ არქიტექტურასა და სტრუქტურას, აგრეთვე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მათ ანალოგებს და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემს არჩევანზე გარდა კვლევაში განხილული ინფორმაციისა, დღეისათვის ქვეყანაში არსებულმა მდგომარეობამ იქონია ზეგავლენა. ახლა, როდესაც საქართველო განვითარების ახალ საფეხურზეა და მძიმე გამოწვევების წინაშე დგას, საჭიროა არა მარტო პროფესიონალი ადამიანების, არამედ ყოველი ქართველის მიერ საკუთარი წვლილის შეტანა ეროვნულ საქმეში.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, რომ საკმაოდ საინტერესო, სასარგებლო და საჭიროც კი არის მუზეუმის არსებობა ამ ზონაში, ძველი დიღმის ტყის შენარჩუნება და საერთო საზოგადოებრივი სივრცეების შექმნა.